№ 340 1918 წ. სამშაბათი სექტემბრის 24. № 340

ახალი საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბაქოში ადერბეიჯანის და ოსმალთა ჯარების ერება აღადგინეს. მანგლისის რაიონში ბოლშევიკთა იარაღი აჰყარეს 600 ვინტოვკა და სამი ტყვიის ფრქვეველი. ბათომში ქართველი ტყვეები ჩამოუყვანიათ. მთავრობამ დაჰკეტა გაზ.,, ტროუდოვოე ზნაჭია.“

კნეინა დარია ევგენის ასული და მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფას შვილის

ირინეს

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 10 საათზე. 2059

კნეინა ნინო ელიზბარის ასული ქობულოვისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავის ძვირფას შვილი-შვილის

ირინეს

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 2059

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინო, ძმები რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, ძმისწული სერაფიმა მირიანაშვილი, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანანა ჯარდენახლიშვილები, ბიძაშვილი შაქრო მირიანაშვილი, სიძე გიორგი და ბიძაშვილი საშა შოშიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

ნიკოლოზ მალა- მირიანაშვილი, ქალის ძე

გასვენება მიცვალებულისა 24 ენკენისთვეს, სამშაბათს დილის 10 საათზე, ბაგრატიონის ქუჩა, საკუთ. სახ. № 14, ანჩის-ხატის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში 2056

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ალექსანდრე, ვლადიმერი, ნიკოლოზი და ქალიშვილები ეკატერინე, ლიდა, ძმისწულები ციცერონ გულა გელოვანისა, ვალია ცანავასი, ელენე ხოჯევანოვისა, რძლები ნინო და ელენე დადიანისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

გესარიონ მაჭუჩარის ძე ლორთქიფანიძის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა განაწესულია სოფ. ახალბედისეულში 24 სექტემბერს. 1335

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო შიოს ასული, სიდედრი კეკელა მირიანაშვილისა, ძმისწულები კოსტა, ნიკოლოზ, ფათიკო, ცოლის და მარიამ შიოს ასული და ქვისლი იოსებ გიორგის ძე ედიბერიძეები თავიანთი შვილებით გიორგით და ალექსანდრეთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს საყვარელ და დაუვიწყარ

ლუკა დავითის ძე გაქელიძის

უდროოდ გარდაცვალებას (21 სექტემბერს) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დასაფლავება სამშაბათს, 24 სექ ემბერს. გასვენება დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან, ბინა: გრიბოედოვის ქუჩა № 17. 2057

უნუგეშოდ დატოვებული მამა ნიკოლოზ კირილეს ძე ზუმბულიძე თავზარდაცემული დები ეფენე ზუმბულიძე, მარიამ მელიქსეტბეკოვი, სიძე ლეონ მელიქსეტბეკოვი და ბებია ნატალია მარიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ ბ. მეგობართ, რომ სექტემბრის 21-ს ს. გურჯაანში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში სუმის კორპუსის მე-6 კლასის მოწაფე

დათა ზუმბულიძე

დაკრძალვა მოხდება ს. გურჯაანში სამშაბათს, სექტემბრის 24-ს მთავარანგელოზის ეკლესიაში 2055.

ვანდილოსანთა და ქალიშვილთათვის

ოჯელთაც სურთ თავისი ხელით შეიკერონ ტანსაცმელი, გრძელდება სწავლა „მშრომელთა თვითდახმარების“ (გოლოვინის პრ. № 8 ტელ. 18 85) ჭრა-კერვის კურსებზე (შეკერვა ქალთა და ბავშვთა ტანსაცმელისა) და ქუდის კერვის კურსებზე. მეცადინეობა ფრანგული მეთოდით. მუშაობა ჭრა-კერვის კურსების მე-2 ჯგუფთან და ქუდების კერვის კურ. მე-6 ჯგუფთან იწყება სექტემბრის 23-ს. 2025

ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოდ, რომ გაერთიანებულ მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებაში თავისუფალი ადგილია. თხოვნების მიღება გაგრძელდება ღვინობისთვის 1-მდის.

დირექტორი ილ. ლორთქიფანიძე. 1333

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაიხსნება 4 წელიწადში.

ძველ ახ. № 11

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა. მოწმობები შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

2062 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

1918—19 წლის საოპერო სეზონი **საზეიმოდ თეატრი** ნ. ლ. ლევიცკის დირექცია

სამშაბათს, სექტემბრის 24-ს

კარმენი

ოპერა 4 მოქმ. ბიზეს მუსიკა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. საიტკოსი, ვიშემორსკისა, ოვსიონიკოვის, ბ.ბ. ჰეროზიანი, პოლიუვი, ინაევი, კურბატოვი—ეზროვი.

დირიჟორი: ჩერეპნინი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა ღია 10—2 ს., საღამოს 6 საათიდან სპექტაკლის დასრულებამდე.

აწონხი: ოთხშაბათს სექტემბრის 25-ს, „ფაუსტი“, ხუთშაბათს 26-ს, „ცარსკაია ნევესტა“, პარასკევს 27-ს „პიკოვაია დამა“ 1337

თამარ მეფის სახელოვნის ქალთა საოსტატო სემინარიაში

(,,განათლების'' საზოგადოების ყოფილი სემინარია)

მისაღები გამოცდები დაიწყება პარასკევს, სექტემბრის 27-ს, განმეორებით გამოცდები ორშაბათს, 30-ს, ხოლო სწავლა ოთხშაბათს, ოქტომბრის 2-ს. ბინა სემინარიისა ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში, ახალ—ბებუთოვის ქუჩა № 6. 1336

განცხადება

ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 23-დან (ახალი სტილით), ხოლო რეგულიარული მეცადინეობა კი ოქტომბრის 1-დან.

1338 დირექტორის მოადგილე კ. ნანეიშვილი.

სასახლის ბაღში

სექტემბრის 2-დან ოქტომბრის 10-დის ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვა და სხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხდება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 3 საათიდან 6-მდის.

1334 შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან.

ლატარიის დღეები

ლატარიის დღეების მომწყობი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ სექტემბერის 28 და 29-ს დანიშნულია მთელ ტფილისში ლატარიის ბილეთების საჯარო გაყიდვა და მოუწოდებს ყველას, ვისაც უყვარს უნივერსიტეტი და თეატრი,—ეს ორი დედაბოძი ერის კულტურულობისა,—გამოიღოს თვისი წვლილი და იყიდოს ბილეთი.

ყოველი მყიდველი გარდა იმისა, რომ აღასრულებს თავის მოვალეობას ერის წინაშე, შეიძენს საშვალებას ასი ათასი მანეთის მოგებისას სულ იგებს 2398 ბილეთი და დარიგებული იქნება ნახევარი მილიონი მანეთი.

კომისიის თავმჯდომარე ბ. რამიშვილისა

1311 გამგე დირექტორი სოლ. ახვლედიანი.

ტფილისის მეექვსე გიმნაზიაში

მისაღები, განმეორებითი და მოწმობის მისაღები გამოცდები დაიწყება სექტემბრის 24-დან და გაგრძელდება სექტემბრის 28-დის. დაწვრილებითი ცნობების მიღება გიმნაზიის კანცელარიაში შეიძლება. გიმნაზიასთანავე არსდება მე-8 კლასი. თხოვნები მიიღება ყველა კლასებისათვის 1332

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, სამშაბათს სექტემბრის 24-ს გაიმართება

ბენეფისი ადმინისტრატორ პ. ელიზაროვის

ფარმოდგენა

„არტისტიული ხელოვნების თბიგული“

მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ზინკოვსკები, ესმერალდა, პეტერსონი, ვუდი და მაი, ნიკოლინი და სხვ.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 2030

ტფილისი, სექტემბრის 24

ჩვენი კონფერენცია. კვირას, სექტემბრის ოცდა ორს, დამთავრდა ჩვენი პარტიის მესამე თავისუფალი კონფერენცია, რომელსაც სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული ასი დელეგატი დაესწრო. განხილულ იქმნა დღეისათვის ორი უდიდესი საკითხი: მიწისა და ტაქტიკისა. ჩვენი დღევანდელი ტაქტიკის თაობაზე კონფერენციაზე ი შვიათი ერთსულოვნობა არსებობდა. ყველა აღნიშნავდა, რომ ამ გართულებულ პირობებში ჩვენ უეჭველად უნდა ვსცდილობდეთ შეთანხმებას ყველა იმ ელემენტებთან, რომელთაც მიზნად დასახული აქვთ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა-განმტკიცება და რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება. განსხვავება იყო დეტალებში და კამათსაც იწვევდა. ხოლო მთავარი დებულება ყველასათვის ცხადი იყო. კონფერენციაზე წარმოდგენილი რეზოლიუციები ათსებითად ერთმანეთში არაფრად განსხვავდებოდა, ხოლო, ვიმეორებთ, თუ იყო რაიმე განსხვავება, ეს წვრილმანებში.

მეორე დიდი საკითხი იყო მიწისა, რომელსაც კონფერენციამ შესაფერისი პასუხი გასცა. რეზოლიუცია, მისგან მიღებული, ორთავე ფეხით სდგას პროგრამის ნიადაგზე, ხოლო ანგარიშს უწევს დღევანდელ მდგომარეობასაც. კონფერენციამ თავისი რეზოლიუციით ამ საკითხში საპარლამენტო ფრაქციას მისცა თეზისები, რომლის მიხედვითაც მან აგრარული კანონ-პროექტი უნდა შემუშაოს.

კონფერენციამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ საერთო არეგ-დარეგამ და ცხოვრების გართულებამ, ჩვენი ქვეყნის კუთხეებში ფრონტების შექმნამ მოადუნა პარტიული ცხოვრება, ზოგგან ორგანიზაციები დაშალა, რადგან საუკეთესო, ცოცხალი ძალები ჩვენის პარტიისა თითქმის მთლად ფრონტზე გაჩნდა. კონფერენციამ დაავალა მთავარ კომიტეტს დიდი ყურადღება მიაქციოს პარტიულ ორგანიზაციებს და მუშაობა გააცხოველოს.

ამნაირად ჩვენი კონფერენცია თავიდანვე დაადგა სწორ და გონიერ გზას. მან აღიარა სამართლე იმ გეზისა, რომელიც პარტიას ჰქონდა მიღებული: გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის მთლიანობა, რომელიც თავის თავად დემოკრატიული ფრონტია, ხოლო შინაურ მტრების და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების ასალაგმავად შექმნა ხოც-ალისტურ კოალიციისა, რომელიც თავის თავად აერთიანებს რევოლუციონურ ფრონტს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. კონფერენციაზე იყო უკმაყოფილო ნაწილი. მაგრამ ჩვენს დავას ჰქონდა შინაური ხასიათი და ჩვენი მტრები სულ სავეწუხაროდ პრინციპიალური განსხვავება ჩვენს შორის არათერი ყოფილა. უკმაყოფილება უფრო დაბადებული იყო პარტიული ცხოვრების და მუშაობის მიხედვით, რაც საერთო გართულებულ მდგომარეობით აიხსნება. ასე თუ ისე, ჩვენი ცხოვრება ქალაქში დგება და ჩვენც შევხვდებთ გაერთიანებული ძალით, მტკიცედ შეკავშირებულნი გავსწიოთ ჩვენი მიზნისა და პარტიულ ცხოვრების გაცხოველებისაკენ.

ამხანაგები, დიდი ხანი იყო ერთმანეთს არ შევხვედრიდით, ერთმანეთისათვის ვერ გაგვერკვა საკითხები, ამ რამდენსამე თვის განმავლობაში ელვისებური სისწრაფით, რომ სწყდებოდა. ამ ერთად შეყრამ მრავალი გაუგებრობა ამ მხრით, გაჰფანტა და კონფერენციის უმრავლესობა დააკმაყოფილა. იმედია, ამხანაგები გაადახალისებული და გაორკეცებული ენერგიით დაბრუნდებიან პროვინციაში და შეუდგებიან იმ მუშაობას, რომლის მოდუნებასაც სჩიოდა და აღიარებდა მრავალი. ამ იმედით შეგვიძლია თამამად ვთქვა, მეორეთ ჩვენი მხცოვანი მეთაურის გიორგი ლასხიშვილის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა კონფერენციის წევრებს მიხი დახურვის დროს: ჩვენ კმაყოფილნი ვართ ამ ესე თავისუფალ კონფერენციის მუშაობით და მომავლის შეფასებით.

ჩვენი დამოუკიდებლობა და მეზობლები

ჩვენი მისია გერმანიიდან იტყობინება, რომ რუსეთმა და გერმანიამ რატიფიკაციები გასცვალეს, რომელთა ძალით ჩვენი დამოუკიდებლობა უკვე ნამდვილი ამბავიაო. ამ გარემოებას უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. სხვა არა იყოს რა, ეს ნიადაგს უსპობს ბევრს პროვოკაციას და ცრუ ხმებს. ამით შეტს ნდობას ჰპოულობს საქართველოს რესპუბლიკა და მისი მთავრობის მოქმედებას მიეცემა უფრო გაბედული და გადაწყვეტილი ხასიათი...

გერმანიიდან მიღებულმა ცნობამ ვალენა უნდა მოახდინოს ჩვენს საერთაშორისო დამოკიდებულობაზე. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ რუსის ხალხის წინააღმდეგი, ქართველ დემოკრატიას არასოდეს გამოუცხადებია ომი რუსობისათვის და პირიქით მუდამ ერთად იყო მოწინავე რუსეთთან და თავგანწირულად იბრძოდა საერთო განთავისუფლებისათვის. არსებითად ეს განწყობილება არც დღეს შეცვლილა მართალია ჩვენ ვებრძვით იმ რუსებს, რომლებსაც სწადიათ ჩვენი დამხობა, ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა და წინანდებურად დამონავება ქართველი ხალხისა; ასე ვებრძვით ყველა მოღალატეს და მტერს. მაგრამ თუ რუსის ერი, რუსეთი შესცვლის თავის ახლანდელს პოლიტიკას, აღიარებს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელს ერთეულს და მოინდომებს ჩვენთან კეთილ მეზობლური ურთიერთობის დამყარებას,—ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით შევეგებებით ანნაირ განწყობილებას და ყოველის ღონით ხელს შეუწყობთ. დეე, რუსეთმა—ვინც უნდა იქნეს მისი მმართველი—იცნოს ქართველი ერის უზანაესი უფლება, აღიაროს ერთხელ და სამუდამოთ, რომ საქართველოს, თუმცა იგი პატარაა, სრული ნება აქვს თვით უპატრონოს თავის თავს და გადაჭრას თავისი ბედი, როგორც უნდა, და მაშინ ადვილად გაქრება ის გაუგებრობა და უკმაყოფილება, რომელსაც დღეს ადგილი აქვს.

აქვე უნდა მივაქცინოთ ყურადღება მეორე გარემოებასაც.

გერმანიიდან მიღებულ ცნობიდანვე ირკვევა, რომ ადერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელი ჩანს. არ

ვიცით, სანამდის იქნება ასე: ოსმალეთი გაუაქმებს ადერბეიჯანის რესპუბლიკას და სომხეთსაც უბრალო პროვინციად გადააქცევს, თუ მსოფლიო ომი არსებითად შესცვლის მათ მდგომარეობას მაგრამ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს ამ საკითხის ასეთი თუ ისეთი გადაჭრის შედეგები. ოსმალეთმა ხელი იგდო კავკასიის კარი შავ ზღვაზე და ეხლა ხანდაიპყრო მეორე სათავე ამიერკავკასიის რკინის გზისა, იგი რკალივით შემოგვერტყა და მუდამ მუქარას უმზადებს ჩვენს დამოუკიდებლობის არსებობას ოსმალეთის ამნაირი გაბატონება ამიერკავკასიაში ჩვენთვის პირდაპირ დამღუპველია. საუკეთესო ადგილები წაგვართვა და, რაც დაგვიტოვა, ისიც სახიფათო მდგომარეობაშია.

ამიტომ ჩვენი ინტერესი პირდაპირ მოითხოვს, რომ ამიერკავკასია დანაწილებული იყოს რამდენისამე პატარა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელთანაც ყოველთვის შეეძლებთ შეთანხმებას, მორიგებას და შეკავშირებას. განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის დამოუკიდებელი სომხეთი, რომელიც ბუნებრივი მოკავშირეა ჩვენი ქვეყნის და, რომელსაც ძალთა განწყობილებისათვის თვალსაჩინო როლი შეუძლია ითამაშოს. ესთქვით „განსაკუთრებით“ არა იმიტომ, რომ რამ საწინააღმდეგო გვქონდეს ადერბეიჯანის. დარწმუნებული ვართ, რომ იმასთანაც ყოველთვის მოვრიგდებით და ადვილად შევათანხმებთ ურთიერთის ინტერესებს. ხოლო ცხადია მაინც, რომ სომხებთან მეტი კულტურული ერთობა გვქონდა და ამის კვალი დღესაც ამჩნევია ჩვენსა და მათ დამოკიდებულების.

ყოველს შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცისათვის აუცილებლად საჭიროა ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა განმტკიცება და, თუ სხვაფერ მოეწყო სომხეთისა და ადერბეიჯანის ცხოვრება, ამის კარგი შედეგი არ მოყოლა განახლებული საქართველოსთვის.

ᲡᲐᲛ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

მთავრობამ დაადგინა: ჯარისა და ცხენების საკვების შეძენის საქმე გადაეცეს სასურსათო სამინისტროს და საბჭოს კონტროლიორს.

—

გადასწყვა სამხედრო მინისტრს 25000 მანეთი მიეცეს გამანადგურებელთა ნაწილების შესაძენად.

—

რადიო ტელეფონი დროებით სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში დარჩება.

—

მთავრობამ დაადგინა მიეცეს უფლება სამხედრო მინისტრს იყოლიოს თავის განკარგულებაში გენერალთა და შტაბ-ოფიცერთა თანდარიგი არა უმეტეს 13 კაცისა.

—

სამხედრო მინისტრს უფლება მიეცა შტატიან ადგილებზე დანიშნულ კომანდირებს და უფროსსა და უმცროს ოფიცრებს მიეცეს ავანსი პროექტში მოხსენებულ ზ-ის თანახმად

—

სამხედრო მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 24647 მან. 65 კაპ. მიეცა ბათომის საზღვაო ქვეითა როტის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

—

გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ათ მილიონიან ფონდიდან მიეცეს გარეშე საქმეთა მინისტრს 10,000 მან. საჩქაროდ გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ ფინანსთა მინისტრს დაავალა დაკმაყოფილოს მაზრების მოთხოვნილება მილიციის შენახვის ფულის გამოგზ.

—

ფინანსთა მინისტრს, მის მოხსენების თანახმად მიეცა 50000 მანეთი ფინანსთა სასინისტროს მოხელეთა დასაკმაყოფილებლად, იმ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, რომელიც მალე წარედგინება მთავრობას.

—

მთავრობამ დაადგინა სასურსათო საბჭოს წევრებს მიემატოს თითო წარმომადგენელი რკინის გზისა და სახალხო გვარდიიდან, აგრეთვე ოსმალურებულ ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც მთავრობის მიერ დაინიშნება, ნება მიეცეს მთავრობის სხდომაზე დასწრებისა სასურსათო საკითხის განხილვის დროს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲑᲐᲥᲝᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ბაქოდან ჩამოვიდა გენ. ხალილ-ფაშა, რომელმაც მთავრობის თავმჯდომარე ინახულა და შემდეგი ცხობები გადასცა ბაქოს შესახებ: ბაქო ოსმალოსა და ადერბეიჯანის ჯარმა აიღო ქალაქში სრული წესიერებაა აღდგენილი. ქალაქის დატოვებამდე ინგლისელება 70 გემი წაიღეს ბაქოდან. ისინი ენზელისაკენ გაემართნენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 9—20 .(გამოტოვებულია). 14-ს ქალაქში ინგლისელებსა და ოსმალოებს შორის სასტიკი ბრძოლა იყო. მართველი დიქტატურის წრეებში დიდი არევ-დარევა იყო. ძალა უფლება 4 წარმომადგენელის ხელში იყო... ბიჩერახოვის, ერთი ინგლისელისა და ცენტრო-კასპის წარმომადგენელის. 15-ს დილით ადრე ჯარმა და მცხოვრებლებმა იწყეს გაქცევა. დილის 5 საათზე ქალაქში შეიჭრნენ გაშმაგებული ოსმალოები და იწყეს ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა ევაკუაციის დროს საბჭოს მუშაკები არ გაანთავისუფლეს, თუმცა ხალხი ამას დაჟინებით მოითხოვდა, და თან წაიყვანეს. საომარი მასალა და გემები ენზელში წაიღეს, მეზღვაურები პეტროგრადში წავიდნენ. ბაქოს მთავრობას ჩვენთან მოლაპარაკება არ გაუმართავს ფედერატიულ რესპუბლიკის ნაწილად არ სთვლის თავს.

ადერბეიჯანის საინფორმაციო ბიურო ბაქოს შესახებ იუწყება: ბაქოდან მივიღეთ ცნობა, რომ ქალაქში ამ ჟამად აღდგენილია სრული წესიერება. ბაქოში ოსმალთა და ადერბეიჯანის ჯარების შესვლის უმალვე შესწყდა ექსცესები; რამდენიმე ათეული მარადიორი დახვრიტეს. ქალაქის კომენდანტად ნაზიმ ბეი დაინიშნა, აღდგენილ იქმნა ყოფილი ქალაქის თვითმართველობა ილიუშკინის მოურაობით და მთელი სასურსათო საქმე ამ თვითმართველობას გადაეცა. მაღაზიები ნელნელა იხსნება, წყალსადენი მუშაობს, ნავთის სამრეწველოები უვნებლად გადარჩა. სასწრაფოდ აღდგენილ იქნება სატელეგრაფო და სარკინიზო წესიერი დამოკიდებულება.

მეზღვაურებმა ქალაქის კომენდანტს დელეგაციით სთხოვეს ნება მიეცეს მათ ქალაქიდან ცოლშვილის გაყვანისა. კომენდანტმა დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა. ქართველობას ადერბეიჯანის მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა, მათ პირველ საჭიროებისათვის 50.000 მანეთი მიეცათ. განახლდა გაზეთ „აჩიკოზი“-ს გამოცემა. ამ დღეებში გამოვა გაზეთი „კასპი“-ც.

ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘ.

მანგლისიდან დეპეშით იუწყებიან: ხალხი იარაღს იყრის, ჩაგვაბარეს სამი ტყვიისმფრქეველი 600 ვინტოვკა, და მრავალი ტყვია. ამ რაიონში სრული სიწყნარეა.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ

ნატანებიდან ბაომის ელჩი აღნიაშვილი სამხედრო მინ ტრს დეპეშით ტყობინებს: სტამბოლიდან ბათომში 162 ტყვე ჩამოვიდა. მათ შორის უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რომელნიც სამშობლოში წავიდნენ ერთი პოლკოვნიკი ავალიშვილი ბათომში დაატყვევეს, ვითომდა სტამბოლიდან მოსულ განკარგულებით. გთხოვთ მიიღოთ ზომები მის განსათავისუფლებლად

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

სექტემბრის 20-ის სხდომა

12 საათ. 40 წუთზე თავმჯდ ნ ჩხეიძემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

მანვე მოახსენა კრებას საბჭოს წევრის, ბელეტრისტის ა. მამულაიშვილის გარდაცვალება, რომლის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

მდივ. ი. აბაკელიამ წაიკითხა განცხადება საბჭოს წევრის ი. ვარაზაშვილისა (ესერი) საბჭოდან გასვლის შესახებ. კრებამ ეს განცხადება შეიწყნარა

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. ᲒᲔᲠᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

საბჭოს წევრმა შ. ამირეჯიბმა წაიკითხა სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებული საბოლოო ტექსტი გერბის შესახებ, რომელიც სრულიად უკამათოდ იქმნა მიღებული.

ᲮᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲐᲛᲐᲠ ᲚᲝ.

ამის შესახებ სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებული უკანასკნელი ტექსტი წაიკითხა საბჭოს წევრმა ნ ჩიგოგიძემ.

ტექსტი უცვლელად მიიღეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲘᲐᲠᲔᲑᲐ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა, განაცხადა: დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეცდილობდით მთელის ძალ-ღონით ეს დამოუკიდებლობა სხვებსაც ეცნოთ განსაკუთრებით კი რუ'ეთს. მთავრობამ იმ თავითვე გადასდგა შესაფერი ნაბიჯი. მაგრამ დღემდის გერმანია მოკლებული იყო საშუალებას ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედით, თუ აო შეიტანდა ამ ხელშეკრულებაში შესწორებას ტერიტორიის მხრივ, ვერ იცნობდა

ეხლა დაიდო ახალი ხელშეკრულება გერმანია-რუსეთ შორის და ამან უკვე მისცა საშუალება ორივე სახელმწიფოს ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ვერ გასჭრა ჩვენი რესპუბლიკის შინაური და გარეშე მტრების ცდამ, რომელნიც ახდენდნენ აჯანყებებს ჩვენი მთავრობის დასამხობად.

ხოლო ამ დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ სრული იმედი გვაქვს, ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და მდგომარეობისა, შემოკრბება ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცების და აღორძინების საქმეში და მიიღებს მხურვალე მონაწილეობას რესპუბლიკის აღმშენებლობაში.

სხდომა ამ განცხადებას მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘᲐᲜᲗ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

მომხსენებელი თ. კიკვაძე. 1884 წ ილია წინამძღვრიშვილმა წინამძღვარიანთ-კარში დაარსა სამეურნეო სკოლა. დღემდის ამ სკოლას თვითონვე უწევდა დახმარებას, ცოტაოდენი დახმარება ეძლევოდა მას აგრედვე თავადაზნაურობისგან. სწავლა დაუსრულებია 300-მდე მოწაფეს, უმეტესობა ამათგანი ეწევა სოფლად პრაქტიკულ მუშაობას, ზოგს კიდევ განუგრძვიათ სწავლა და აგრედვე პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან. მეტად მნიშვნელოვანი და სიმპატიური სკოლაა და ამიტომ უნდა იქნეს იგი სახელმწიფო სკოლად გამოცხადებული. სკოლას აქვს 50 ათასი დესეტინა მიწა შემოწირული წინამძღვრიშვილის მიერ; ქვის შენობები, ფიზიკური კაბინეტი, სხვა და სხვა სამეურნეო მასალები ღირებული სამას ათას მანეთამდე. სწავლის საქმე იქ ჩინებულად არის დაყენებული. წლის ბოლოს დის ხარჯების გასასტუმრებლად საჭიროა 31,000 მანეთი.

Დ. ᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სახელით ამ კანონ-პროექტს მხარი დაუჭირა და ერთხმად იქმნა კიდეკაც მიღებული.

კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის დროს ამხ. **სამსონ დადიანისა** და საბჭოს წევრის **რ. არსენიძის** წინადადებით სამღვთო სკოლის მასწავლებლის ჯამაგირი შტატიდან ამოიშალა.

ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ.

მომხსენებელი **რ. ივანიცკი.** ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის ჯეროვანად მოწესრიგების საქმეს. თუ გვსურს, კვლავ ანარქიას, რომელიც განვიცადეთ და ეხლაც განვიცდით, ადგილი არ ექნეს, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი უნდა ჯეროვანად მოვაგვაროთ. არ კმარა მარტო სურვილები, მას ხორცი უნდა შეეასხათ და მთელი ჩვენი სასამართლოს აპარატი ავამოძრაოთ, რათა ხალხმა, რომელიც სიმართლის ძიებაში ლევს სულს, განიცადოს, იგრძნოს, რომ ძისი უფლებები სისწორით იქნება დაცული.

მომხსენებელი შეეხო ჩვენს წარსულს, აღნიშნა ჩვენი ძველი კანონმდებლობა, უსაყვედურა იურისტებს ვახტანგის, ბექა და აღბუღას კანონების უცოდინარობა და დაასკვნა, რომ საჭიროა სამართლის კანონებს საფუძვლად დაუდოთ მშობლიური კანონმდებლობა და შევიტანოთ სასამართლოებში სრული ნაციონალიზაცია შესაძლებლობის ფარგალში.

იუსტიციის მინისტრი ამხ. შ. მესხიშვილი რადგანაც დღეს საბჭო იხილავს მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონ-პროექტს, ნება მიბრძანეთ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა იუსტიციის სამინისტროს მოქმედების შესახებ. სხვა და სხვა უწყებაში საქმის წარმოების გაეროვნება რამოდენიმედ ძნელი შეიქნა, იუსტიციის სამინისტრო ამ მხრივ უკეთეს პირობებში იმყოფება. ჩვენ იმ თავითვე ვცდილობდით უწყებაში ყველაფერი რიგიან და ნორმალურ პირობებში მოგვექცია. ხალხი დღემდის მოკლებული იყო თავის უფლებების დაცვას, მას არ ჰქონდა საშუალება გამოეთქვა, ენის უცოდინარობის გამო, თავისი სურვილები სავსებით, დღეიდან-კი მთელი ერი ამ მხრივ განთავისუფლებული იქნება და იქნება ყოველ გვარ საქმეში დაცული სრული სამართლიანობა.

მინისტრი შეეხო რუსეთის კანონმდებლობას და აღნიშნა მთელი ის საშინელობა, რომელსაც რუსეთის მთავრობა სასამართლოს საქმეში აწარმოებდა განსაკუთრებით დამონებულ ერების მიმართ; მოიყვანა მაგალითები ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტიდან, შეადარა ჩვენი ქვეყანა თვით რუსეთის შუაგულ ერთეულებს სასამართლოს წარმოების მხრივ, რომელიც ენით გამოუთქმელ საშინელებას წარმოადგენდა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ კანონ-პროექტის მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ყველგან ქართულად იქნება საქმის წარმოება, რადგან სატერმინოლოგიო კომისია მუშაობას ენერგიულად შეუდგა და სრულიად არ არის საჭირო 16 ტომი რუსეთის კანონების კოდექსისა იქნეს გადათარგმნილი. თქვენ მიერ მიღებულ საგამომძიებლო ინსტიტუტის კანონ-პროექტის თანახმად ამ დარგში ხდება სრული გაეროვნება და 30 გამომძიებელში მხოლოდ 4 თუ 5 იქნება, რომელიც ქართულად ვერ აწარმოებს საქმეს და ეს უკანასკნელნიც დანიშნულნი იქნებიან ჩვენი ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობა რუსულად ლაპარაკობს.

სრული იმედი მაქვს, საბჭო ამ კანონ პროექტს მიიღებს და საშუალებას მომცეს დასახული მიზანი სასამართლოს სრული გაეროვნებისა სისრულეში მოვიყვანო.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას.

ს. დადიანის შესწორება, მცხოვრებთა ნაცვლად იხმარონ სიტყვა საქართველოს მოქალაქენი, მიღებულ იქნა.

კამათი გამოიწვია მეჩვიდმეტე მუხლმა, რომელიც შეეხება საქმის წარმოებას; იმ ადგილებში, სადაც უმრავლესობა არა ქართველებია, საქმის წარმოება ხდებოდეს ქართულად და ადგილობრივ ენაზე.

დ. ჩიქოვანი და **ი. მაჭავარიანი** მოითხოვენ საქმის წარმოება აქაც ქართულ ენაზე იყოს სავსებით, ხოლო ამხ. **ს. დადიანი, ი. ბარათაშვილი** და საბჭოს წევრი **რ. არსენიძე,** როგორც თვით მომხსენებელიც, წოითხოვენ კანონ-პროექტ-ს ეს მე-17 მუხლი უცვლელად დარჩეს

ამ მუხლს უცვლელად სტოვებენ და კანონ პროექტიც სავსებით მიღებულ იქმნა.

სხდომა დამთავრდა ნაშუადღევის 4 საათზე.

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲔᲑᲘ

Დ ᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 9—19. კამბრეს ფრონტზე დამარცხებამ, აიძულა ინგლისელები შეტევა შეეჩერებინათ. ორი დღის შემდეგ ახალი შეტევა დაიწყო გავრინკურტიდან, ხოლონამდე. მედგარი მოქმედება ინგლისელებისა სრულებით არაა დაკავშირებული ფოშის სტრატეგიულ გეგმებთან, რომელთა მიზანია ფრონტის გარღვევა კომბრესა და სენ-კვენტინს შუა. მაგრამ ინგლისელები მაინც აწარმოებენ იერიშებს, რადგან ზეეგფრიდის პოზიციების წინ გერმანელებს ეპყრიათ ინგლისელთა თხრილები და ინგლისელებს უხდებათ ახალი პოზიციების მოწყობა გერმანელთა საარტილერიო ცეცხლის ქვეშ. ამ მოსაზრებით შეუძლია გამოიწვიოს ახალი ოპერაციები სენ-კვენტინის სექტორში.

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲘᲜᲘ. 9 19 სამშაბათს დაიწყო ახალი შეტევა ბრიტანელ ჯარის ფრონტზე. აქ მათ 25 კილომეტრის სიგრძეზე გაიმარჯვეს, კომბრეს სამხრეთ-დასავლეთიდან სენ-კვენტინის ჩრდილო-დასავლეთამდე, სადაც ისინი გენ. დებენეს ჯართან ერთად იბრძვიან. ამ ოპერაციას შედეგად მოყვა ის, რომ წასწიეს თავისი პოზიციები ბრძოლა გრძელდება. ბრიტანელი ჯარი სენ-კვენტინის გზის წინააღმდეგ მოქმედებს. ლე კატელი კამბრე მტერს აღარ სჭირდება ქალაქის დასავლეთით ინგლისელებმა 6000 მეტი კაცი დაატყვევეს და ეხლა გოლონნში იმყოფებიან; სადაც ისინი უერთდებიან გენ. დებენს, რომელიც სენ-კვენტინის სამხრეთით არის, სინი-ლა-გრანდის შესავალთან.

იმავე დროს ქანენის ლაშქარი განაგრძობს მტრის დევნას და იმარჯვებს შმენდე-დაბის მახლობლად

მოკავშირეთა შეტევა მაკედონიაში გრძელდება. სერბიის ჯარი ფრანგებთან და ელინელებთან ერთად დღე და ღამე დევნის დამარცხებულ მტერს და მრავალ გამაგრებულ სოფელს იპყრობს. მათ წაიწიეს 20 კილომეტრის სიღრმეში. ბულგარელთა ახალი მეექვსე არმია დაამარცხეს და ააოხრეს. ტყვეთა [illegible] დავლი ჯერ ვერ [illegible] რეთია სწრაფი წინსვლის გამო.

ᲡᲐᲰ ᲔᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ (ინგლისელების ცნობა) 9—18. ჩამოვაგდეთ მტრის 7 ჰაეროპლანი და ერთი საჰაერო ბირთვი.

ᲒᲔᲠᲚᲘᲜᲘ 9—21. საღამოს ცნობა. ჩვენი ზეეგფრადის ფრონტის წინ ინგლისელების იერიში, გუზოკურტისა და გარეიკურტის ტყეებს შუა, უნაყოფოდ ჩატარდა. ინგლისელები დიდად დაზიანდნენ.

ᲚᲘᲝᲜᲘ. 9—21. ბრიტანიის რადიო ტელეგრაფის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მტერი დიდ მნიშვნელობას აწერს პოზიციებს, ბრიტანელმა ჯარმა რომ დაიპყრო, და მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა დაჯდომოდა ხელიდან არ გაეშვა იგი. ეს მტკიცდება გერმანულ კორპუსში სექტემბრის დაგზავნილ ბრძანებით.

ᲚᲘᲝᲜᲘ. 9—21. „ფიგაროს“ საზღვაო კორესპონდენტი ლანდრი ჯეროვანად აფასებს ბრიტანიის ფლოტს. ლანდრი აღნიშნავს, რომ მილიონ ნახევარ ამერიკელის გადმოსვლა საფრანგეთში უნდა მიეწეროს კარგ ტრანსპორტს. ამავე დროს შეერთებულ სამეფოდან ახალშენებიდან ინდოეთიდან მოსულ შვიდ მილიონიან ადამიან სურსათს და საომარ მასალას აწვდიდნენ ფლანდრიაში, შამპანში, პალესტინაში და მესოპოტამიაში.

ᲖᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲢᲠᲐᲜᲡ-ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲑᲘᲣᲠᲝ. რეიხსტაგის წევრმა, ს.-დ. ლანდსბერგმა ჰესენში სექტემბრის 15-ს საჯაროდ კრებაზე სთხოვა დაეტოვებინათ რუეკა, რომლისთვისაც არავითარი საბუთი არ არის. გერმანიის მთავრობა განირჩევა მოკავშირე სახელმწიფოებისგან, რომ იგი ერთად-ერთია, რომელიც ზავზე ლაპარაკობსო. კლემანსოსა და ლლოიდ-ჯორჯზე საზავო წინადადება არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ. ვენის გაზეთები თავდაჭერილად ლაპარაკობენ გრ. ბურიანის საზავო ნოტაზე. თუ მოკავშირეები ომს მხოლოდ ერთა კეთილ დღეობისათვის აწარმოებენ, მაშინ ამ ერთა წარმომადგენელნი უნდა შეიკრიბნენ და შეიმუშაონ საზავო პირობები. თუ ისინი უარს იტყვიან ამ გვარ თათბირის მოწყობაზე, ცხადი იქნება მათი დაპყრობითი მისწრაფებები, თუ იგინი წინადადებას მიიღებენ, ამით დაამტკიცებენ, რომ სურთ ბოლო მოუღონ სისხლის ღვრას.

დანიის პრესა დიდ მნიშვნელობას აწერს გრ. ბურიანის ნოტას. „პოლიტიკენი“ მას უწოდებს ისტორიულ ძეგლს. „სოციალ-დემოკრატენი“ აცხადებს, რომ თუ მოკავშირეები საზავო წინადადებას არ მიიღებენ, ეს იმათ მდგომარეობას დაამცირებს და ცენტრალურ სახელმწიფოებს კი გააძლიერებს მათ გარდაწყვეტილებაში შეტევითი ომი აწარმოონ.

ᲚᲘᲝᲜᲘ. 9—21. საფრანგეთის მთავრობამ ავსტრია-ჰუნგრეთის ნოტის საპასუხოდ, რომელიც მას პარიზში მყოფმა შვეიცარიის მინისტრმა პიონშმა გადასცა, მთავრობის გაზეთის ნომერი გაუგზავნა. გაზეთში კლემანსოს სიტყვაა მოთავსებული, სენატში რომ წარმოსთქვა და მთავრობისა და ხალხის პასუხს წარმოადგენს ვენის კაბინეტი, საზავო ნოტაზე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 9—19. კიევიდან იტყობინებიან, რომ კიევის გაზეთში შულგინი სწერს: სკოროპადსკი კიევში აღარ დაბრუნდება გერმანიიდან მას მისცემენ მშვიდ კუთხეს და დარჩება იქ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ-ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲑᲘᲣᲠᲝ.

გარდაიცვალა 66 წლის მოხუცი პოლიტიკური მოღვაწე დოქტ. კარლო პეტერსი, რომელიც საიმპერატორო კომისრად იყო აღმოსავლეთ აფრიკაში.

სექტემბრის 10-ს კიევში ხელი მოწერეს 18—19 წლის ეკონომიურ და ფინანსიურ ხელშეკრულებას გერმანიამ, ავსტრია-ჰუნგრეთმა და უკრაინამ. ხელშეკრულებაში მუხლია, რომელიც შეეხება ხორბლის, საქონლის, შაქრის და სხვ. მოტანას ცენტრალური მთავრობები თავისი მხრით მიაწვდიან უკრაინას ნახშირს, ზეთს და სხვ. ამას გარდა ხელშეკრულებაა დადებული შესახებ საქონლის შემოტანა-გატანისა, რკ. გზა ტარიფისა და გადასახადისა.

ახალი ამბავი

ქართული სამხედრო ორდენები. სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა სამხედრო კომისიამ შეიმუშავა პროექტი ქართული ორდენებისა ოფიცერთა და ჯარის კაცთათვის. აღნიშნული ორდენი მხოლოდ ბრძოლის დროს გამოჩენილ ვაჟკაცობისა და სიძამაცისთვის მიეცემა ჯილდოდ ყველას.

ცეცხლი ბონების დასამზადებელ ექსპედიციაში სექტემბრის 21-ს საღამოს მოულოდნელად ცეცხლი გაჩნდა საქართველოს რესპუბლიკის ბონების დასამზადებელ ექსპედიციაში. სასწრაფოდ გამოწვეულ იქმნა ცეცხლის მქრობელი რაზმი და სხვა დამხმარე ძალები. ცეცხლის ადგილას მოვიდა სამხედრო მინისტრი და სხვანი. ცეცხლი საჩქაროდ ჩააქრეს და შედეგად არავითარი ზარალი არ მოჰყოლია. სამხედრო მინისტრმა მადლობა გამოუცხადა ცეცხლის მქრობელ რაზმს რომელმაც თავისი მოვალეობა მწყობრად და სწრაფად შეასრულა.

დატუსაღება, მეციხოვნე ჯარის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს შტაბს-კაპიტანი დიმელაშვილი და პრაპ. ეურული წესრიგის დარღვევისათვის.

კაპ. ილ. მახარაძის საარტილერიო ვზვოდი. ლეჩხუმის რაიონიდან ტფილისში დაბრუნდა მე 2-რე საარტილერიო ბრიგადის პირველ ბატარეის პირველი „ვზვოდი“ კაპიტან ილ. გ. მახარაძის მეთაურობით, რომელმაც თავი ისახელა ლეჩხუმის ოპერაციასა და ბორჩალოს ბრძოლაში. ვზვოდმა თან ჩამოიყვანა — ახლად ჯარში გაწვეული ახალგაზრდანი, რომელნიც აღნიშნულ ბატარეიაში ჩაირიცხნენ.

მიტროპოლიტ ანტონის დაკრძალვა. ქუთაველი მიტროპოლიტის ანტონის დაკრძალვა განზრახულია დღეს, სექტემბრის 24-ს ქ. ქუთაისის საკათედრო ტაძარში

— მთავრობის დადგენილებით მიტროპოლიტ ანტონის დასაკრძალავ ხარჯების გასასტუმრებლად ათ მილიონიან ფონდიდან 5000 მან გადაიდო

ხოლერა. სექტემბრის 20-ს ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 4 ხოლერიანი. საავადმყოფოდან გამოეწერა 15, მოკვდა 5. ამჟამად საავადმყოფოში სულ 103 ხოლერიანია.

უფასო საჩაიე. სექტემბრის 22-ს ველიამინოვის ქუჩაზე მე-4 სანიტარულ კომისიამ გახსნა პირველი უფასო საჩაიე ხელმოკლე მოქალაქეთათვის.

მკვლელობა. სექტემბრის 22-ს ღამის 11 საათზე რევოლვერებით დაეხსენ ნავთლუღში „ებრაელების საწყობის“ დარაჯს მ. გალბხადს, წაართვეს 300 მანეთი, მოჰკლეს იგი და დასჭრეს მისი მეუღლე. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ქართული ლატარია. დღეს, დილის 12 საათზე, ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია კრება ლატარიის საჯაროდ გაყიდვის მომწყობი კომისიისა. თავმჯდომარე კომისიისა სთხოვს ყველა წევრსა და მოწვეულ პირს მობრძანდნენ კრებაზე დასასწრებლად.

დატუსაღება. სექტემბრის 22-ს ქალაქის მილიციის განკარგულებით 3 თვით დაატუსაღეს ნიკოლოზ კიკაჩეიშვილი, როგორც მავნე ელემენტი საზოგადოებრივ წესრიგისა.

„საქართველოს“ გამოსვლა დღეს გამოვიდა გადიდებული ფორმატით გაზეთი „საქართველო“, რომელიც შეჩერებული იყო უქაღალდობის გამო.

დეზერტირ ბი. სექტემბრის 17-ს წამლის საწყობთან სადარაჯო მიატოვეს და გაიპარნენ მე 4 პოლკის ჯარისკაცები; ივანე ჩარპატაშვილი და მიხ ქისტაური ეს დეზერტირები სიღნაღის მაზრის სოფელ კარდანახის მცხოვრებნი არიან.

ტფ სარევოლიუციო ტრიბუნალი. ამ დღეებში თავისი მოქმედება შეწყვიტა და საქმეები საოლქოსა და განსაკუთრებულ სასამართლოებს გადასცა ტფილისის სარევოლიუციო ტრიბუნალმა.

„ტრუდოვოე ზნამიას დაკეტვა“. მთავრობის განკარგულებით დაიკეტა „გაზეთი ტრუდოვოე ზნამია“, რომელიც სისტემატიურად აგიტაციას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შეშის რეკვიზიცია საქართველოს რკინის გზებზე წესიერ მიმოსვლის აღსადგენად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს რეკვიზიცია მოახდინოს იმ კერძო პირთა შეშისა, რომელიც მრავლად არის დაგროვილი ლეჩხუმის რაიონისა და სუმბათოვის სადგურებზე. შეშას მოიხმარენ მაზუთისა და ქვა-ნახშირის ადგილას.

თვითმკვლელობა. სექტემბრის 20-ს სასამართლოს ქუჩაზე, № 12 მცხოვრებმა პოლკოვნიკ ჩუმაკოვის ცოლმა ემილიამ ოჯახურ უწესოების ნიადაგზე ბრაუნინგის რევოლვერით თავი მოიკლა.

ძარცვა. სექტემბრის 21-ს ღამის 2 საათზე სასტუმრო „ფლორიდას“ თავს დაესხა 20 შეიარაღებული ბოროტ-მომქმედი, შეჭრა ქუჩა და სროლით შემოერტყა სასტუმროს, იქ მცხოვრებთა გასაძარცვავად. ბოროტ მომქმედების ადგილას გაჩნდა მილიცია და გარნიზონის დამცველი რაზმი. მათ მოსვლაზე მძარცველებმა სროლა ასტეხეს და გაქცევა მოასწრეს. მათ მხოლოდ ერთი მცხოვრების გაძარცვა მოასწრეს, რომელსაც 12,000 მან. წაართვეს.

ერობაში. ახალსენაკიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „სამაზრო ერობამ სექტემბრის 20-ს სხდომაზე განიხილა სასკოლო კომისიის მოხსენება და დაადგინა: სკოლის საქმე მხოლოდ ერობის ხელში უნდა იყვეს და სკოლებიც სამი ტიპის იქნება: დაბალი პირველ-დაწყებითი, უმაღლესი პირველ-დაწყებითი და გიმნაზიები დაბალ სასწავლებლიდან უმაღლესში შეიძლება შესვლა, ხოლო უმაღლესიდან გიმნაზიებში გამოუცდელად. შემდეგ იქნება აგრედვე პროფესიონალური და სატეხნიკო სასწავლებლები. საფინანსო კომისიამ გამოიანგარიშა, რომ 4 ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდება სკოლების შენახვა“.

არჩილ საყვარელიძის მოკვლის გამო შემდეგი წერილი მივიღეთ: ეს არის ლეჩხუმიდან ჩამოსულებმა ქუთაისში გავიგეთ თავზარდამცემი ამბავი: არჩილის უდროო სიკვდილი... მისმა თავგნწირულმა, სამშობლოს მოყვარულთათვის სახარბიელო სიკვდილმაც ოდნავად ვერ შეგვიმსუბუქა ჩვენი წყლული, რადგან მისი დაქარგვით სამშობლომ და ჩვენ დავკარგეთ საუცხოო ადამიანი, ქართველი ინტელიგენტი და იშვიათი ოფიცერი სრულის და საუკეთესო ამ სიტყვების მნიშვნელობით.

ისედაც შავი ფონი ჩვენი ოფიცრობისა შენი სიკვდილით, მშვენიერო არჩილ უფრო დათალხდა. ჩვენ კი შენი ჯარისკაცნი, რომლნიც შენთან მოვედით მე-2-ე საარტილერიო ბრიგადაში ამ ნახევარ წლის წინად და შენის დაუღალავის ხელმძღვანელობით გამოვაცოცხლეთ და ფეხზე წამოვაყენეთ მეორე ბრიგადა-ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, დავრჩით ობლად, უპატრონოდ...

შენი ხსოვნა, ვით შუქურა, ღამის ცის თაღზე, სულ მუდამ ბრწყინავდეს იქმნება ჩვენს სამხედრო სამსახურის მოგონებაში. შენი მოგონება მარად და მარად სანეტარო იქნება თვითეულის გულში.

მეორე სარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცთა ერთი ჯგუფის მონდობილობით: **ჯვებე ოსელიანი.**

ნაოსნობა მდ. რიონზე გზათა მინისტრი სასწრაფო ზომებს იღებს, რომ რიონსა და მის შესართავებზე ნაოსნობა მოაწყოს.

ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა აცხადებს: მუს. სკოლაში სწავლის ფასი ინსტრუმენტზედ ღირს 180 მ. წლიურად ხოლოთ, უფროს კლასებში 250 მ. და უკანასკნელისათვის გამოცდა სავალდებულოა.

სასახლის ბაღში სექტემბრის 25-დან ოქტომბრის 10-დის გაიყიდება სასახლის ყვავილნაირისთვის ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვა და სხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხდება დილის 9 სათიდან 12 სათამდე და საღამოს 3 სათიდან 6-მდე. შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან.

თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიაში მისაღების გამოცდები დაიწყება პარასკევს, სექტემბრის 27-ს, განმეორებითი გამოცდები ორშაბათს 30-ს, ხოლო სწავლა ოქტომბრის 2-ს. ბინა სემინარიისა ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში, ახალი ბებუთოვის ქ. № 6

დღეს სექტემბრის 24-ს, ვარდისუბნის ქუჩაზე № 9, დანიშნულია თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის ჰედაგოგიურ საბჭოს სხდომა. სხდომა დანიშნულია საღამოს 6 საათისათვის.

ჩვენი კონფერენცია

სამშაბათს, სექტემბრის 17-ს, გაიხსნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო **პარტიის** მე-3 თავისუფალი კონფერენცია, რომელიც გაგრძელდა კვირ მდე. სულ გაიმართა ცხრა სხდომა. დელეგატები არჩეულნი იყვნენ ყოველ 150 კაცზე თითო, აგრედვე ორგანიზაციებიდან. სულ დაესწრო ასი დელეგატი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. გიორგი ლასხიშვილი, ამხანაგებად იოს. ბარათაშვილი და მიხ. გავაშელი.

პირველად იყო მოხსენებანი ადგილებიდან, სადაც აღნიშნავდნენ: თუმცა საერთო მდგომარეობამ ორგანიზაციები ბევრგან შეასუსტა, მაგრამ ხალხში საშუალოდ ნიადაგი არის და იგი უკვე თანაგრძნობით გვეგებებაო. შემდეგ დასმული იყო მოხსენებანი მიწის საკითხის შესახებ. აგრარულ კომისიის და მთავარ კომიტეტის სახელით პირველი მოხსენება წაიკითხა ამხ. **აკაკი ჩაჩავამ.** ცალკე მოხსენება იყო ამხ. **თედო ლლონტისა.** კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა შესაფერისი რეზოლიუცია.

უკანასკნელ საკითხად განვიხილეთ მომენტის და ტაქტიკის საკითხი. მთავარ კომიტეტიდან იყო ორი მოხსენება მისი წევრებისა: ერთი ამხ. **სამსონ ფირცხალავსი,** მეორე **ქრისტ რაჰველიშვილისა.** ცალკე მოხსენება იყო ამხ. ვახტ. კოტეტიშვილისა. კონფერენციამ კამათის შემდეგ მიიღო მთავარი კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია.

ყველა რეზოლიუციას ამ დღეებში დავბეჭდავთ.

ბოლოს კონფერენციას ინფორმაცია გაუკეთეს ამხ. მინისტრებმა გიორგი ლასხიშვილმა და შალვა მესხიშვილმა. კონფერენციამ მათი განმარტებანი დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და სრული ნდობა გამოუცხადა.

კონფერენცია მიესალმა აგრედვე მთავრობას, ამხ. მინისტრებს და იოს. გედევანიშვილის რაზმს.

კონფერენცია დაიშალა კვირას, სექტემბრის 22-ს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ამხანაგ ვალია ჩიჩუას ხსოვნას

სრული ორმოცი დღე სრულდება, რაც სამუდამოდ მიწას მივაბარეთ ჯერ-ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე, ცხოვრების ბედნიერი მომავლით გატაცებული ამხ. ვალია. აბა, ვინ არ იცნობდა მას? ვალიას მშვენიერს, ვალიას მხიარულს, ხან ცელქს, ხან მჭუნვარეს, ვალიას თავის პატარა მოწაფე ქალებით გარშემორტმულს, მათთვის თავდადებულ უფროს მხანაგს და დას. ვალიას უყვარდა სიცოცხლე, სურდა ახალგაზრდული გატაცებით დამტკბარიყო მისი მრავალფეროვან მზვენიერებით და იმ დროსაც, როდესაც მისი წუთები დათვლილი იყო, ის ცხოვრებას შეჰხაროდა. „მე არ მინდა ჯერ სიკვდილი, სიცოცხლე მინდა ექიმო, მიშველე, დამაბრუნე ცხოვრებისათვისო“, ეუბნებოდნენ დასადუმებლად განმზადებულნი მისი ბაგეები ყველასათვის საყვარელ ექიმს, და ექიმიც, რა ჰხედავდა თავის უძლურებას სენთან ბრძოლაში, იცრემლებოდა და სასოწარკვეთილი გარედ გამოვიდოდა, რათა ავადმყოფისათვის არ ეჩვენებინა მოზღვავებული ცრემლთა დენა. ვერ შევიძელით ვალიას გადარჩენა, ვალიამ განუტევა სული და მოშორდა თვის საყვარელ სამშობლოს სწორედ იმ დროს როდესაც მისი ტურფა ქვეყანა საზეიმოდ განმზადებული საგაზაფხულო ფერხულისთვის ემზადებოდა. ის წავიდა იქით, თვის საყვარელ ძმის საშასაკენ, და მის გვერდით საუკუნოდ განისვენა. სამშობლო მიწამ მიიბარა ის. „სანუკვარმა ქვეყანამ მას ზედ თვისი კალთა „გადააფარა“. განთავ სუფლებული სამშობლო ჰიმს შეთხზავს, რომლის გაგონებაზე ვალიას გაცივებული სხეულიც ზეიმს მიეცემა. მას უყვარდა ის და მისი მიწაც სიყვარულითვე მიუზღავს. განისვენე... იძინე ტკბილათ... დეე, შენს სამარადისო ძილს ნუ შეაკრთობს სამყაროს უკულმართობა. დეე, შენი სულის სისპეტაკე ემბლემა იყოს ჩვენი სულიერ ამაღლებისა. დეე, შენი საფლავი გვამაღლებდეს და გვაწრთობდეს ბრძოლაში შენს ამხაგებს. საუკუნო იყოს ხსენება შენი ამხანაგებ შორის, რომლებთანაც ერთად იბრძოდი ამ უკულმართ ცხოვრების გარდასაქმნელად. ვწუხვარ, რომ ტრემო�ება საშუალებას არ მაძლევს, ამხანაგებთან ერთად ჩემი ცრემლებიც დავაფრქვიო შენს საფლავზე, მაგრამ აქედანაც წმინდა გრძნობებით, განსპეტაკებული სიყვარულით ამხანაგისა ვიმეორებ:

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

ვ. ნოდია.

სამეგრელოში

სექტემბრის 12

დღეს ჩვენი პარტიზანული პოლკი ერთს უმნიშვნელოვანეს სოფელში შედის, სახელდობრ წალენჯიხაში. ამ დღეს დანიშნულია სასოფლო ყრილობა, სოფელში მოსულნი არიან გენერალი ი. გედევანიშვილი და ქუთაისის საგუბერნიო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი. ხალხი დანიშნულ დროს არ მოდის. ცხადდება მხოლოდ რამდენიმე კაცი. გენ. გედევანიშვილი და ბენია ჩხიკვიშვილი აქ ველარ რჩებიან, რადგან სხვა ადგილსაც აქვთ საქმე და მიდიან. რჩება ჯარი და მთავრობის რწმუნებული.

შემდეგში ხალხი თავს იყრის და მართლაც მრავალრიცხოვანი ყრილობა იმართება. ხალხი ერთხმად ადგენს, აასრულოს მთავრობის ყველა მოთხოვნილება და წინადადება მისცეს კვარაცხელიას, ფიფიას და სხვებს, დაუყონებლივ გამოცხადნენ თავიანთის იარაღით და მთავრობას მორჩილება გამოუცხადონ. ამას გარდა ყრილობას გამოაქვს ცალკე დადგენილება, რომლითაც ბოდიშს იხდის გენ. ი. გედევანიშვილის წინაშე იმის გამო, რომ ხალხი მას თავის დროზე ვერ დაუხვდა და ყრილობის გამართვა დაუგვიანდათ. მოთხოვნილებათა ასასრულებლად ხალხი ერთი-ორი დღის ვადას თხოულობს. ამ თხოვნას ჯარი აკმაყოფილებს.

თვით ზუგდიდში უკვე დამყარებულია ჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრება. ხალხი თავისუფლად სუნთქავს და ყველა, განურჩევლად მიმართულებისა, გულით ლოცავს გენერალ „გედევანს“ და მის სახელოვან რაზმს, რომელმაც სამეგრელო საშინელ უბედურებისაგან დაიხსნა.

— სამი თვეა, რიგიანი ძილი არა გვღირსებია ზუგდიდელებს; ყოველ ღამ გაისმოდა თოფის გრიალი და ძილისთვის აღარ გვეცალა — იძახის ხალხი.

სოფლებიდანაც გზები გაიხსნა და ხალხი შემოდის ზუგდიდში ათას საჭიროებისთვის.

ზუგდიდი მართლაც მეტად მძიმე პირობებში ყოფილა, როცა ბალშევიკურ ბრბოებს თავისი მოღვაწეობა დაუწყვიათ, მაშინვე თვალი მიუპყრიათ ზუგდიდისთვის, რომელიც საკმაოდ მდიდარია და ამიტომ სასარგებლოც ველა მადა გახსნილ პირისათვის. ზუგდიდის დღეები დათვლილი ყოფილა და ხალხი მორჩილებით ელოდა ახალ ბატონების შემოსვლას. ადგილობრივი ადმინისტრაცია სამაზრო კომისარის სვიმონ თოლორდავას მეთაურობით სრულიად უმოქმედოდ იყო და არა თუ, არ ფიქრობდა ქალაქის დაცვაზე, პირიქით, როგორც დაჟინებით იძახიან ყველანი, იგი ხელსაც უწყობდა ბრბოებს (ეს თოლორდავა ამ ჟამად დაპატიმრებულია და სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის ჩადენა ედება ბრალად)

ამ საშინელს დროს ზუგდიდის მფარველ ანგელოზად მოევლინა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ზუგდიდის ორგანიზაცია, რომელმაც სძლია ყველი დაბრკოლება და მებრძოლი რაზმი შეადგინა გამოცდილ ოფიცრის პოდპოლკოვნიკის აპოლონ ჯიქიას მეთაურობით. ამ რაზმის მუდმივი შემადგენლობა 40 კაცს უდრის, ხოლო საჭიროების დროს ეს რიცხვი ადის და ადიოდა 80-მდე. ამ მებრძოლმა რაზმმა, რომელიც თავს თავისივე ხარჯით ინახავდა, ყოველივე დაიკიწყა, მუდამ ღამე ქალაქის გარშემო გაკეთებულ თხრილებში იწვა და თავდაცვისაგან იცავდა ქალაქს მრავალრიცხოვან ბალშევიკურ ბრბოებისაგან. ხშირად თავდამცემთა რიცხვი ისე იზრდებოდა, რომ ზუგდიდელნი ქედის მოხრას აპირებდნენ. მათ წინაშე, მაგრამ რაზმელნი მათ გადაჭრით უკრძალავდნენ ამას და ეუბნებოდნენ, თუ ჩვენ ველანი ამოვწყვიტეს, მხოლოდ მაშინ დანებდით მტერსაო.

ამ მცირერიცხოვანს, მაგრამ მამაც და იდეურ პირთაგან შემდგარ, რაზმს მარტოდ მარტო, საკუთარის ძალ-ღონით და ხარჯით იმდენი მოუხერხებია, რომ ზუგდიდი თითქმის სამი თვე შეუნახავს უვნებელი და მხოლოდ ბოლო ხანს მოშველებია მას მთავრობის მიერ გამოგზავნილი მფრინავი რაზმი შტაბს-კაპიტანის ღლონტის მეთაურობით.

მეტად საშინელი და აუტანელი ყოფილა სურათი ბრბოების შემოსევისა ხშირად ოთხას-ხუთას შეიარაღებულ კაცს მიჰქონდა იერიში ზუგდიდზე ეს სწვავდნენ აუარებელ ტყვიაწამალს, ზოგჯერ უკან მოსდევდა უფრო მრავალრიცხოვანი უიარაღო ბრბოები და თან მოჰქონდა ტომრები ზუგდიდის ქონებისა და ავლადიდების გასაზიდად.

მრავალი სახლია ამ ჟამად ზუგდიდში ტყვიით დაცერილი. თუ მცხოვრებთაგან არავინ მოუკლავთ, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ზუგდიდელებმა კარგად შეისწავლეს თავისი მდგომარეობა და დროზე იძალებოდნენ ხოლმე წინადვე არჩეულ უშიშარ ადგილას.

თუ მაშინ მცხოვრებთ შეძლება და დრო არა ჰქონდათ იმისა, რომ დაეფასებინათ ზუგდიდის დამცველ რაზმის თავგანწირულება, დღეს ყველა გრძნობს ამ რაზმის ფასდაუდებელ ღვაწლს და იძახის:

— კაცებიც ეს ფედერალისტები ყოფილან და ქუდიც ამათ ჰხურებიათო; რასაც ამბობენ, იმას აკეთებენ კიდეც.

— მართლაც, რაღაც უცნაურნი ყოფილან ეს ფედერალისტები, ხშირად ამბობს ხალხი — ბრძოლაც სცოდნიათ და რაღაც თილისმაც ჰქონიათ. აი „გედევანის“ რაზმიც მოვიდა და რაღაც თილისმა მოიტანა. გაიარა სოფლებში, არავინ დაუწვავს, არავინ დაურბევია და მთელი ხალხი კი დაიმორჩილა. თავაღებულმა ყაჩაღებმაც კი დაჰყარეს იარაღი და არა სურთ „გედევანის“ რაზმს შეებრძოლონ. ალბად იციან, რომ ვაჟკაცებთან აქვთ საქმე, იმ ვაჟკაცებთან, რომელნიც მოყვარესთან მოყვარენი არიან და მტერთან მტერი. კურთხეულ იყოს ამ რაზმის მოსვლა ჩვენს ქვეყანაში; ღმერთმა ხანგრძლივი გახადოს ის წესიერება რომელიც ამ რაზმმა დაამყარა ჩვენშიო.

ამავ დღეს, სექტემბრის 12-ს, საღამოს, სოც. ფედ. პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება იმართება წარმომადგენლის ასარჩევად, კონფერენციაზე გასაგზავნად და სხვა საკითხების განსახილველად

კრებას ესწრება გენერალი ი. გედევანიშვილი, რომელსაც პარტიულ ბიუროს წინ, ეზოში უხვდებიან შეიარაღებული და ორ წყებად კობტად ჩაშწკრივებული ჩვენი ამხანაგები — რაზმელები, რომელთაც ზუგდიდი განადგურებას გადაარჩინეს.

— გამარჯობა ამხანაგებო! — სალამს აძლევს მათ ი. გედევანიშვილი ჩვეულებრივის ხალისით და სიცოცხლით.

— გაუმარჯოს საქართველოს; მზად ვართ სამსახურისთვის! — უპასუხებენ რაზმელნი.

ი. გედევანიშვილი მათ მოკლე სიტყვით მიმართავს და სხვათა შორის ეუბნება:

— ნება მომეცეს, ამხანაგებო, სიხარული აღარ დავმალო და მთავარ კომიტეტის სახელით მადლობა გადაგიხადოთ იმ თავგანწირულ და სამაგალითო მოქმედებისათვის, რომელმაც ზუგდიდი გადაარჩინა აყაჩაღებს, ე. წ ბალშევიკების შემოსევას.

ამის შემდეგ, სოც.-ფედ. კომიტეტის სახელით სალამს უძღვნის „სახელოვან გენერალს და უფროს ამხანაგს“ ამ კომიტეტისავე წევრი მიხა კაკულია და იგონებს პარტიზანულ პოლკის ძლევამოსილ მსვლელობას ოზურგეთის მიდამოებში, აწყურთან, დარიალთან და ბოლოს სამეგრელოში.

შემდეგ იწყება კრება კომიტეტის თავმჯდომარის კალისტრატე კობახიძის თავმჯდომარეობით

კრება ხანგრძლივის და მხურვალე ტაშისცემით ეგებება თავის სახელოვან ამხანაგს და ერთხმად ირჩევს ზუგდიდის ორგანიზაციის საპატიო წევრად.

ამის შემდეგ, თანახმად თავმჯდომარის წინადადებისა, კრება ფეხზე ადგომით პატივსა სცემს უდროოდ დალუპულ მხანაგის „კაპიტანის არჩილ საყვარელიძის ხსოვნას.

მორიგ საკითხთა განხილვის დაწყებამდე სიტყვას თხოულობს მიშა მდივანი, იგი იგონებს მეორე ფედერალურ კრებას, რომელიც ქუთაისში გაიმართა და სადაც მას გაუცვნია ი. გედევანიშვილი. იგონებს იმასაც, რომ ი. გედევანიშვილმა მაშინვე იწინასწარმეტყველა ჩვენი მომავალი მდგომარეობა და სთქვა: ჩვენთვის საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა.

— აი ამხანაგებო, — ათავებს სიტყვას მიშა მდივანი, — ამან იწინასწარმეტყველა ბრძოლის საჭიროება მომავალში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კიდეც იბრძვის და იბრძვის ეს კაცი შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ. ვაშა ამის სიტყვას და ვაშა ამის საქმეს!

— გაუმარჯოს ჩვენს მთავარსარდალს და ჩვენს უფროსს ამხანაგს!—გრიალებს კრება და ტაშისცემასა და ვაშას ძახილს მოლო აღარა აქვს.

ტფილისის კონფერენციაზე თავის წარმომადგენლად კრება ირჩევს მიხა კაკულიას.

შემდეგ კრება მსჯელობს შომენტისა და ტაქტიკის შესახებ და სამეგრელოს ანარქიის მთავარ მიზეზებსაც ეხება.

რ. ბ—ლი.

† ნიკო ჯოჯიშვილი

ქალ. ბაშურში ენკენისთვის 18-ს უეცრად გარდაიცვალა ჩვენი პარტიული ამხანაგი ნიკო ჯოჯიშვილი.

ნიკო ჯოჯიშვილი პატარა შეუმჩნეველი მუშაკი იყო. ის არ იყო სხვებსავით მყვირალა, მაგრამ თავის რწმენას გულწრფელად ემსახურებოდა და უკანასკნელ წუთამდე უმწიკვლოდ ასრულებდა თავის მოქალაქობრივს და პარტიულ მოვალეობას.

დღიდან თვითმპყრობელობის დამხობის და თავისუფლების დროშის აფრიალებისა, ის მუყაითად მუშაობდა ჩვენი პარტიის წევრთა რაზმში და ჩვენთან ერთად დღესასწაულობდა ჩვენი სამშობლოს მონობიდან განთავისუფლებას.

მოესწრო სამშობლოს ბედნიერებას, მოესწრო მისგნით მონობის ბორკილის დამსხვრევას, მაგრამ საბრალო ვერ მოესწრო საქართველოს რესპუბლიკის საბოლოოდ ჩამოყალიბებას, ვერ მოესწრო სამშობლო მხარეში წესიერების და კანონიერების დამყარებას, რასაც ის მთელის თავის არსებით ელოდებოდა.

მოისვენე, პატიოსანო მუშაკო!

შენ შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე წმინდათ შეასრულე.

ინუ. კ. ძნელაძე

ძვირფასი ადამიანის ხსოვნას

ქართველ დედათა მცირე რიცხოვან ჯგუფს კიდევ მოაკლდა ერთი სპეტაკი და მდიდარი სულის ადამიანი. ვერა ეს დაუღალავი მუშაკი იყო იმ პარტიის, რომელსაც მიზნად დაესახა საშშობლოსა და მშრომელი ხალხის ბედნიერება სწორედ ამ მუშაობის დროს შეიქმნა მსხვერპლი ეს ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ვერა ჯერ კიდევ ცხრაას ხუთის მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ერთ დაუღალავ მუშაკად ითვლებოდა. ამ თავისუფლების შიკრიკს გასწორებული ქონდა მთა და ბარი, მაგრამ სხვა ბედნიერებასთან ერთად ბევრი მწარე დღეებიც განიცადა, როდესაც რეაქციის შავმა სიომ დაუბერა. მაგრამ, გმირი ქალი სრულებითაც არ შეუშინებია უსამართლობის ხმალს, მან უფრო მხნედ და მედგრად გასწია თავისი წმინდა მოვალეობის შესრულება სარდაფებსა და მიმალულ ადგილებში.

ვერა უკვე კარგა ხანია რაც არჩილის მოძღვრებას იზიარებდა და სოციალ-ფედერალისტთა პარტიის საუკეთესო მუშაკ ქალად ითვლებოდა, რომლის მსგავსნიც იშვიათად მოიპოვებიან.

განისვენე ტკბილად ძვირფასო მეგობარო!

იძინე ტკბილად საყვარელო დაო ვერიკო!

ნუ ჩაგყვება ჯავრად შენი ქვეყნის ბედი, რადგან შენ იცი, ბევრ უბედურებას, გაუძელით და გამოწვრთნილიც ვართ უბედურების ქარცეცხლში. ან შეგინარჩუნებია იმ თავისუფლებას, რომელსაც ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და შენ მოესწარით ან სრულიად გავსწყდებით ამ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. და თუ დღეის შემდეგ უსისხლოდ შეგვრჩა თავისუფლების მონა პოვარნი, მაშინ ჩვენ, თქვენი მეგობრები, საქართველოს თავისუფალ ყვავილებით შევამკობთ თქვენს წმინდა საფლავს.

ირინა.

ნაციონალიზაცია მოხდა ფოსტა-ტელეგრაფში?!

ყველამ კარგად იცის, რომ ფოსტა-ტელეგრაფში ნაციონალიზაცია მოხდა. ვისაც სწამდა ქართველობა, სიხარულით სთქვა გულში: „მადლობა ღმერთს, ქართულს გავიგებო“.

მაგრამ ეს ილუზია გამოდგა!

მიხვალ კასაში, აძლევ ქართულად დაწერილს დეპეშას, კასაში ქართველი ზის, ეკითხები: „რამდენი მოგართვაო?“

გიპასუხებს: „რუბლ დვადცატ პიატ“ და სხვა.

დაუჯერებელია, ქართველმა ადამიანმა არ იცოდეს ორიოდე ქართული!

გადავიდეთ კანცელარიაში.

აქაც სულ ქართველობაა. ეკითხები ქართულად: „ვის უნდა მივმართო, მოწმობები მომცეს?“

გიპასუხებენ რუსულად: „რა არის მოწმობები?! და როცა აუხსნი, ისევ რუსულადვე მიგითითებენ.

ხელწერილი უნდა მისცე... და როცა ეკითხები: „არ შეიძლება ქართულად დავწერო?

მკვახედ გიპასუხებს: „არა“.

მერე გესმის მათი ლაპარაკი: „ღმერთმანი მე რუსულად ვფიქრობ და ქართულად ძლივს ვიძახიო“.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა მათ გასაგონად მომმართა: „რაში ეტყობა ნაციონალიზაცია?“.

მოხელეებმა ისეთი ირონიით და თვალით შემოგვხედეს, თითქოს გვითხრეს: „რას იძახით, რა დროს ნაციონალიზაციაო“.

როგორ შეიძლება გამტყუნდნენ გიმნაზიაში აღზრდილები, რომლის გათავებითაც ისე ამაყობენ?!

შეიძლება ყველაფერი წვრილმანობაში ჩამომართვათ და მკითხველმა მიკიჟინოს: „მეტად ადრე თხოულობთ ქართულად ლაპარაკსაო“.

მაგრამ ვიტყვი: თუ ამ თავითვე არ მივეჩვიეთ ქართულად ლაპარაკს, მაშინ ვერას დროს შევეჩვევით და ნაციონალიზაციის სახელით ტყუილად მოინათლა ეს რეფორმა. და მოინათლება სხვა დაწესებულებებიც.

გარეშე პირები თუ აძლევენ ქართულად დაწერილს დეპეშას, თორემ შიგნით არავითარი ცვლილება არ არის და ისევ ისეა, როგორც იყო წინად.

ამას ჰქვიან ნაციონალიზაცია?

იმედიანად კი გავიძახით: ნაციონალიზაცია მოვახდინეთო“, როცა ჯამაგირის წიგნაკები, ხელწერილები და ათასი სხვა პატარა ბარათი ისევ რუსულად იწერება და ლაპარაკიც ისევ რუსულია? ჩვენი სურვილი იქნება ყველა მოხელემ მიაქციოს თავის თავს დიდი ყურადღება, რომ ადამიანი საქმისთვის მისული, გაბოროტებული და გაბრაზებული არ დაბრუნდეს.

ქეთევან წამებული.

ჩვენი სტუდენტობა ჯარში

ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობას, როგორსაც დღეს ქართველი სტუდენტობა განიცდის ყოველ მხრივ, ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი. დღიდან რუსეთში სტუდენტობის ჯარში გაწვევისა ქართველი სტუდენტობა სულ მუდამ გაჭირვებაში იყო.

საერთაშორისო ომს დაერთო რუსეთის დიდი რევოლიუცია და ამ ორმა ბუმბერაზმა მოვლენამ, ქართველი სტუდენტობა დაქსაქსა.

ყოველ ჩვენგანს, დარწმუნებული ვარ, წარმოდგენილი ექნება ქართველი სტუდენტების ცხოვრება შორეულ ჩრდილოეთში, კიდევ ომის დაწყებამდე.

დაიწყო ომი და სტუდენტობის შშვიდი ცხოვრებაც შეიცვალა, სტუდენტობა ჯარში გაიწვიეს. თავის მუშაობას მოსწყვიტეს და ჯარში გათქვიფეს. ვინც ძალა უნებურად სამხედრო სამსახურს თავი დაახწია, მისაც არ ასცდა მეორე საშინელება, ომს ზედ დაერთო რევოლიუცია და სტუდენტობა, როგორც მოწინავე ელემენტი, თავისი ახალგაზრდული აღტაცებით სარევოლიუციო მუშაობაში ჩაება.

რუსეთში, ქართველმა სტუდენტობამ დიდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ვინ აწყობდა სტუდენტების რაზმს? ქართველი სტუდენტობა, ვინ უდგა სათავეში მიტინგების მოწყობას? ქართველი სტუდენტობა

ახალგაზრდულმა აღტაცებამ და სამშობლოს სიყვარულმა ქართველ სტუდენტობას, სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობისათვის მიაქცევინა ყურადღება. რუსეთის ქალაქებში მყოფმა სტუდენტებმა ერთხმად და ვაჟკაცურად (უმცროსობის გამოკლებით) სამშობლოს მიაშურეს და ხალხში გავიდნენ სამუშაოდ.

როდესაც სამშობლო ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა, ქართველი სტუდენტობა, თუ ის წინად ჯარს გაუწყრებოდა, ღღეს ხიფეის ხებით ჯარში ჩაეწერა და ხალდათის გვრიტი შუბლზე შეიკრა. სტუდენტის მუნდირი ნაცრის ფერ ფარაჯას ანაცვალა და გონებრივი მუშაობა ფიზიკურ მუშაობას დაუპირდაპირა.

იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებსაც რევოლიუციის დაწყებამდე ჯარში გასვლა ხვდა წილად, უფრო კარგ მდგომარეობაში მოუხდათ ცხოვრება, ისინი ყველა ოფიცრები გამოვიდენ და ცოტად თუ ბევრად თვის მდგომარეობას შეურიგდნენ. ღღეს კი სულ სხვა პირობებში მოუხდათ სტუდენტებს ჯარში ყოფნა. მართალია ისეთი მკაცრი დისციპლინა არ არსებობს ჯარში, როგორც უწინ, მაგრამ ფიზიკურად შეუჩვეველ სტუდენტ ჯარის კაცის მოვალეობის ასრულება ძალიან გაუძნელდა, მით უმეტეს იმისთანა ნაწილში სამსახური, როგორიც მაგალითად არტილერია არის სამჯერ დღეში ცხენების მოვლა ყაზარმის დაგვა-დასუფთავება, ყარაული და სხვა მუშაობა, შეუჩვეველ სტუდენტს მოსწყინდა და ის აღფრთოვანება დაჰკარგა, რომელიც მას ქონდა პირველ დღეებში ჯარში ჩაწერისა. როგორც ყოველთვის ამ მოვლენამ ჯარში უკმაყოფილება გამოიწვია და ორი ძალა ერთმანეთს წაჰკიდა: სტუდენტობა და უსწავლელი ჯარისკაცობა.

ეს უსწავლელი ჯარის კაცი სტუდენტების მოქმედებამ უფრო გახრწნა და უფროსებისადმი ნდობა დაუკარგა.

თუ ნასწავლი არ კადრულობს საქმის გაკეთებას, მე რად ვიკადრო, უსწავლელობაც და საქმის გაკეთებაც მეო? ასე მსჯელობს უსწავლელი ჯარის კაცი.

ამას ყოველივეს ჯანი წაუღია, ზოგიერთმა არამზადა სტუდენტმა თავის ამხანაგებს ჩირქი მოსცხო და უსირცხვილოდ და საშინლად იწყო თავის ამხანაგების საერთო გმობა და უხეშად მოხსენიება.

ამ დაბრმავებულმა ვაჟბატონებმა თავის თავის დამცირებასაც ვერ შეატყვეს და ისე გაიძახოდნენ: უმრავლესობა ქართველი სტუდენტებისა სპეკულიანტები და ჩარჩები არიან და მათ საზოგადოებრივი მუშაობის უნარი დაუკარგავთო“.

ერთი ყაზანელი სტუდენტი ამტკიცებდა: „პირადად მე დაახლოვებული ვარ ჩვენ სტუდენტობასთან და მათ მოქმედებას კარგად ვიცნობო. ყაზანში ყოფნის დროს ამა თუ იმ მეცნიერების დარგში მუშაობისთვის არავინ ხელს არ გვიწყობდა და ქალებში ლაზღანდარობას უფრო ამჯობინებდნენო“.

გლახას სხვაც გლახა ეგონაო, ალბად ასე მოსდის ჩვენ სტუდენტსაც. პირადად ამ სტუდენტს ჩვენთვინ უთქვამს, მე იმისთანა სამსახურს ვეძებ, სადაც შეიძლება ბლომად ქაფვაო და ეს სტუდენტი მარწმუნებს, რომ ყველა სტუდენტები საზიზღრობას ჩადისო. რაღაც დაუჯერებელია ამის შემდგომ ვიფიქროთ რომ ეს სტუდენტი რაიმე ორგანიზაციის მოწყობაში მონაწილეობას ღებულობდა

საწყლებო, თქვენ თუ თვითონ სპეკულიანტები არ იყოთ, ამას იტყოდით? თქვენ რომ ქართველ სტუდენტობასთან დაახლოვებული იყოთ აქაფვაზე ლაპარაკი შეგეგეზიზღებოდათ, მაგრამ როგორ დაუახლოვდებოდით, თუ მაგისთანა საქმეები უფრო გაინტერესებდათ, ვინემ ქართველ სტუდენტობის მუშაობა. განა თქვენ იმ სტუდენტთა რიცხვს ეკუთვნოდით მასსიურ გაფიცვებს რომ ინიციატორობდნენ? რომლებიც პოლიციის შიშით ჩუმად რომელიმე ამხანაგის ბინაზე იკრიბებოდნენ და სხვა და სხვა ორგანიზაციებს აწყობდნენ? მაგრამ რა უნდა გელაპარაკოთ უვიცებს, რომლებზედაც ისე უმოქმედნია ჯარის კაცის ფარაჯას, რომ სინიდის ნამუსიც დაგვიწყებიათ.

დროა გონს მოხვიდეთ თქვენ, რომლებიც მეთაურობთ მაგ ჯგუფს და ქართველ სტუდენტობას შეურაცხყოფა, დროა გამოიღვიძოთ, და ცილისწამებას თავი გაანებოთ

არ ეკადრება ქართველ სტუდენტობას თქვენისთანა უსინდისოების ლანძღვა ტყუილუბრალოდ. და ცილისწამება, დროა გონს, მოხვიდეთ ვაჟბატონებო!

ჯარის კაცი ვანო ვეფხვაძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

დაკარგე პასპორტი საღდათობის წიგნაკი კვირას საღამოს 8 საათზე მპოვნელს ვთხოვ მამიტანოს ველიამინის ქ. 8. შაქრო საღირაშილს. 2060

დაიგეჭდა და იყიდება წიგნისა და კერძო მაღაზიებში დასავლეთის (ინგლის-საფრანგეთის) ფრონტის დაწერილებითი რუკა. 2061

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დახნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარგბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხვებით, თავის დეში ვენის ტიპისა, დიდი სოლოლნოიდი, განსაკუთრებული ნაკადები ღ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 1—92. 483

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხვილის პროსპექტი № 118.

ექიმ ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით, რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, ქუჩის და ჭაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—6 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ძალი ნ. ბ. შიშლო.ხაბაზეული მედიცინის დოქტორი ევროპის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. ხერგიანის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ეკვენის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1212

ექიმმა ლიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლლას ქუჩა 15 ტელ 18—03 2010

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფი ლისის (შეშხაპუნება 606—914) და ქანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სადამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დით მიხაილოვის შვასახვევი სასტუმრო „ნოვს“ პირდაპირ № 8 1304

ექიმი ვ. ფუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი მ. ბ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს ქანისა და ვენერიული სნეულებით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქ. № 19. 992

ექიმი ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავქალის აუდიტორიის ახლო. 1290

ექიმი ბ. ბ. მუხაძე იღებს საღოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკონაბინო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი ალანიშვილისა, ტელეფ. 5—71. 1030

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან აღლ. მყოფთ, დილის 8—9 ს. [illegible] მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი № 14 0128

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

ექიმი ფულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან [illegible] ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: [illegible] ლის 10-დან 11 საათამდე და საღამ[illegible] 5-დან—6-დე. ტელ. 11—35. 20

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებრო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვრის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი ი. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობანი. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების ჩაკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თბილისს საკურნალო მუდმივი საზოგადოებით ექიმ დოლნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხვილის პროსპ. № 141 (ეპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და სალიმერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ბაბა ნავახარდიანის პირველი ძვრძოლ საკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ვ. ი. ბაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ბ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—ყანისა და ვენერიულ ავადყოფებს 11½ ს.

ბ. ბ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტიხიანი—9—11 ხაუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

ხ ა ღ ა ბ ო ი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რენტგენ-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის ფასდაკლებულ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი

კერძო სამკურნალო

ექ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის

სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი ქანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. ბ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხ. ბ. ჯაფარიძე—ხაბავშვთ ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ ვ ბ. ტყემალაძე

მისამართი: ერეკლეს ქ № 6 ბაზარ-ხისის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

ხალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარ და

პირველი ქართული გუსჰალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად

ალ. ბ. საათაშვილისა

გუსჰალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და ჩაწერა კურსებზე ყოველ დღე შეიძლება დილის 9—2 საათამდე და 5—8 საათამდე ტფილისი, დუშეთი ქუჩა, სახ. № 9 (ეკონომიის ქუჩასთან ახლოს 1-ლი უბანი) ტრამვაის ეკონომი № 5 და 9. 2052

საგუსჰალტრო კურსები.

ნ. ბ. აბრამიანისა

ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) ყოველ-დღე კურსებთან ისსნება საგანგებო კურსები ოთხ-თვიანია მეცადინეობა ნაუხალტერია ქ რთულ ენაზე შეისწავლოს. ოთხოვნები მიიღება აგვისტოს 26-ს. წელა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღებ შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

ტფილისი, სტამბა „ახალი საქმე“ ბარონის ქუჩა